ოსტატ ფეხბურთელთა პირველი შეხვედრა თბილისში

3 აპრილს თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონზე გაიმართა პირველი ამხანაგური მატჩი ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებს შორის. თბილისის “დინამოსა” და თბილისის ოფიცრის სახლის გუნდების თამაშის სანახავად სტადიონის ტრიბუნებზე მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა მოიყარა თავი.

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის გ. აკობაშვილის სასტვენის ხმაზე ფეხბურთელთა გუნდები მოედანზე გამოდიან შემდეგი შემადგენლობით: “დინამო” – კიტია, ელოშვილი, გოგლიძე, სარჯველაძე (კაპიტანი), პანიუკოვი, კილაძე, კოტრიკაძე, ნორაკიძე, ვარდიმიადი, მახარაძე და თოდრია; ოფიცრის სახლის გუნდი – მათევოსიანი, კუბლაშვილი, ლოგინოვი, ნიკურაძე, გამყრელიძე, ავეტისოვი, გვარამაძე, ნარიმანიძე, ა. პაიჭაძე, ს. ჯეჯელავა და სააკაშვილი.

თამაში დაიწყო დინამოელთა იერიშებით. ისინი ზუსტი განივი გადაცემებით გადიოდნენ მოწინააღმდეგის კართან. თავდამსხმელთა შეტევებში ხშირად ეფექტურად ღებულობდა მონაწილეობას ნახევარმცველი პანიუკოვი. იგი ყოველ ხელსაყრელ მომენტს იყენებდა შორი მანძილიდან კარში დარტყმისათვის და ხშირად აიძულებდა მათევოსიანს ჩაბმულიყო თამაშში.

დინამოელებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს არმიელთა საჯარიმო მოედანზე. მახარაძეს ორჯერ ჰქონდა ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა, მაგრამ მისი დარტყმები არ იყო ზუსტი.

პირველი ტაიმის ბოლოს ოფიცრის სახლის გუნდის ფეხბურთელები შესამჩნევად გააქტიურდნენ, მათ ხელთ იგდეს ინიციატივა, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს.

თამაშის მეორე ნახევარი დაიწყო არმიელთა იერიშებით. ისინი მწყობრად და ენერგიულად უტევდნენ მოწინააღმდეგის კარს. ზედიზედ ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს. უნდა აღინიშნოს, რომ დინამოელებმა საგრძნობლად დაუკლეს ტემპს, ცალკეული მოთამაშეების მოქმედებაში არ იგრძნობოდა გამარჯვებისადმი ლტოლვა.

არმიელებმა მალე მოედანზე გვარამაძის ნაცვლად ნაზაროვი გამოიყვანეს და მათმა იერიშებმა კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. “დინამოს” კართან შექმნილ ერთ–ერთ კრიტიკულ მომენტში მცველებმა უხეშად ითამაშეს, რისთვისაც გუნდი დაჯარიმდა 11–მეტრიანი გარტყმით, რომელიც სააკაშვილმა კარგად გამოიყენა და გახსნა ანგარიში.

იგრძნეს რა დამარცხების აშკარა საშიშროება, დინამოელები გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდნენ, მაგრამ არმიელთა დაცვისა და განსაკუთრებით, მეკარე მათევოსიანის მონდომებული თამაშის მეოხებით ანგარიში ბოლომდე უცვლელი დარჩა.

მატჩი მოიგო ოფიცრის სახლის გუნდმა ანგარიშით 1:0.

დ. ცომაია, საქართველოს სახელმწიფო მწვრთნელი ფეხბურთში.
6 აპრილი, 1952 წ.